აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №37

10/09/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ2“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 05 სექტემბრის N34 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნან უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში:

ა) ლევან დუაძე N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;
ბ) რუსუდან ბერიძე N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;
გ) გიორგი ჩავლეიშვილი N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია;
დ) ნარგიზ ძირკვაძე N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია;
ე) ასმათ ბოლქვაძე N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია;
ვ) შორენა ბოლქვაძე N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით არჩეულ უსკოს წარმომადგენლების დაფინანსების ოდენობა, უფლებამოსილებები და ვალდებულებები განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 05 სექტემბრის N34 განკარგულების შესაბამისად.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს (ამირან ჯინჭარაძე), უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებზე სათანადო მოწმობების გაცემა.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი